თ ა ნ ხ მ ო ბ ა

(უფლებამოსილების მინიჭების, უფლება-მოვალეობათა გადაცემის შესახებ)

შპს "დიდი დიღმის ოაზისი" (ს/კ 211361881) თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ შპს „გეითვეი ჰოლდინგს" (საიდ/კოდი: 204531499), სრულად გადასცეს ქ. თბილისში, დიდ დიღომში, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ მშენებარე მრავალფუნქციურ კომპლექსის №1 საცხოვრებელ კომპლექსთან მიმართებაში ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 27 ივლისის №282217 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული პროექტით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის, მიმდინარე ანდა მომავალში განსახორციელებელ სამშენებლო და საპროექტო საქმიანობასთან/საქმიანობიდან დაკავშირებული/გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გეითვეი ჰოლდინგი" (ყოფილი შპს "ფროფერთი ინვესტი") უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსაგან/დაწესებულებისაგან მოითხოვოს 2012 წლის 07 ივლისის №282217 ბრძანებით გათვალისწინებულ პროექტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, კერძოდ მოითხოვოს სანებართვო მოწმობისა და ბრძანების შპს „გეითვეი ჰოლდინგი"-ს სახელზე გამოცემა/გადატანა, აგრეთვე მოითხოვოს/განახორციელოს საპროექტო დოკუმენტაციაში ყველა შესაძლო/საჭირო ცვლილების შეტანა და განახორციელოს ნებისმიერი სხვა კანონით აუკრძალავი ქმედება.

შპს "დიდი დიღმის ოაზისი"-ს დირექტორი

ივანე ცაგურია _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130071153
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.01.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ელენე ყიზილაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. 23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	995322995210; 99590411423
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	40699078033313

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცამეტი წლის ოცდაცხრა იანვარს მე, ნოტარიუსმა ელენე ყიზილაშვილმა, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №23, დავამოწმე სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირის ივანე ცაგურიას (დაბადებული: 01.03.1980 წელს თბილისში. მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ტეხურის ქ. №24; პირადი №01008014283) ხელმოწერის ნამდვილობა წინამდებარე თანხმობის ორ იდენტურ ეგზემპლარზე, რომელიც სანოტარო ბიუროში წარმოადგინა თვითონ.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენით. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე, ნოტარიუსმა ივანე ცაგურიას განვუმარტე, რომ ნოტარიუსი პასუხს არ ვაგებ თანხმობის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე, რის შემდეგაც თანხმობის ორივე ეგზემპლარზე ხელმოწერა შესრულდა ჩემი, თანდასწრებით პირადად ხელმომწერის მიერ.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 4,00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის. დღგ – 0,72 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2,00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის. სულ გადახდილია: 6,72 ლარი (ექვსი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი).